დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით
ოქმი N1. 22.08.2024 წელი

სკოლის პედაგოგიური საბჭოს

თავმჯდომარე: ----------/ლ. ხვედელიძე/

შრომის და სწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ნდ №2-010102/05

ბათუმი

2024

მუხლი 1. დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - წესი) ადგენს შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლაში (შემდგომში სკოლა) შრომის და სწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს და წესებს, მისი მიზანია სკოლაში შრომის და სწავლის უსაფრთხოების, დარღვევების/შესაძლო შეუსაბამობების პრევენციისა და სკოლაში მიმდინარე პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფა და ამ მიზნით დროული ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება. წინამდებარე წესის საფუძველია მოქმედი საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ (შემდგომში - კანონი), რომელიც ვრცელდება დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე.

მუხლი 2. გამოყენებული ტერმინების განმარტება

- სამუშაო/სასწავლო სივრცე – ყველა სამუშაო/სასწავლო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებული/სწავლის სუბიექტი და სხვა პირი იმყოფებიან/გადაადგილდებიან სამსახურებრივი/სასწავლო დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ სკოლა აკონტროლებს;
- სამუშაო/სასწავლო ადგილი – კონკრეტული ადგილი, სადაც დასაქმებული/სწავლის სუბიექტი და სხვა პირი უშუალოდ ახორციელებენ შრომით/სასწავლო საქმიანობას;
- შრომის/სწავლის უსაფრთხოება – დასაქმებულის/სწავლის სუბიექტის და სამუშაო/სასწავლო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს;
- პრევენცია – იმ ღონისძიებებისა და პროცედურების სისტემა, რომლებსაც ახორციელებს სკოლა ან რომელთა განხორციელებაც დაგეგმილი აქვს სკოლას საქმიანობის ყველა მიმართულებით რისკების, სამუშაო/სასწავლო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ან შრომითი/სასწავლო საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – სკოლას მიერ დანიშნული/მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც შრომის/სწავლის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას;
- საფრთხე – სკოლას გარემოსა და სამუშაო/სასწავლო პროცესის თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის/სწავლის სუბიექტის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;
- რისკი – სამუშაო/სასწავლო გარემოსა და პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის/სწავლის სუბიექტის/სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების/მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

მუხლი 3. სკოლას ვალდებულებები

1. კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს:

- სამუშაო/სასწავლო სივრცეში უსაფრთხოების მიზნით:
  - შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების დაცვას;
  - პერსონალის, სწავლის სუბიექტების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის წარმოქმნის პრევენციას;
  - არსებობის შემთხვევაში სამუშაო/სასწავლო სივრცეში უბედური შემთხვევების აღრიცხვას და ანალიზს;
  - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის რეგულარულ (პერიოდულ) შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში შეცვლას;
  - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შემდეგი ფაქტორების შემოწმებას, გაზომვასა და შეფასებას: ფიზიკური ფაქტორები (მაგ., ტემპერატურა, ტენიანობა, სითბური გამოსხივება, ხმაური, განათება,); ქიმიური ფაქტორები (მაგ., ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის ქიმიური ანალიზის და დეტექციის მეთოდები გამოიყენება); ბიოლოგიური ფაქტორები (მაგ., ვირუსები, სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები);
  - უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის/სწავლის სუბიექტების მონაწილეობას, მათ შორის კონსულტაციებს და დასაქმებულთა/სწავლის სუბიექტთა უფლებას მოახდინოს უსაფრთხოების შესახებ წინადადების ინიციირება;
  - ტრენინგების/ინსტრუქტაჟის ჩატარებას. ტრენინგები/ინსტრუქტაჟი ტარდება სამუშაო/სასწავლო საათებში. ტრენინგებისათვის გაცდენილი საათები საპატიოდ ჩაითვლება. სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი უფასოდ ტარდება;
  - ინფორმირებას უსაფრთხო შრომის/სწავლის პრინციპების შესახებ; სამუშაო/სასწავლო ტექნიკისა და აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების შესახებ; საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;
  - ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ეხება: რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგეს დასაქმებული/სწავლის სუბიექი, და მავნე ფაქტორებს (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო/სწავლის ადგილთან, და დასაქმებულის/სწავლის სუბიექტის ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას, აგრეთვე მათგან თავის დაცვის მექანიზმებს;
  - დასაქმებულთა/სწავლის სუბიექტთა ინფორმირებას საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომების, აგრეთვე იმ ღონისძიებებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში; სკოლაში მოქმედი, ასევე შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი აკრძალვების შესახებ.
- პრევენციის მიზნით:
  - საფრთხის შემცველი სამუშაო ადგილების გამოვლენას და აღრიცხვას;
  - შესაძლო რისკების შეფასებას და რისკების თავიდან აცილებაზე ზუნვას;

- რისკებისა და საფრთხეების შეფასებას, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია, და საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე ზრუნვას;
- პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს,
- დასაქმებულებისთვის შესაბამისი ტრენინგების/ინსტრუქტაჟის ჩატარებას;
- სამუშაოს/სასწავლო სივრცის ადაპტირებას დასაქმებულთან/სწავლის სუბიექტთან, განსაკუთრებით – სამუშაო/სასწავლო სივრცის მოწყობის და აღჭურვილობის თვალსაზრისით;
- სამუშაო/სასწავლო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების წერილობით განსაზღვრას;
- დასაქმებულების/სწავლის სუბიექტთა მონაწილეობას იმ საკითხების განხილვაში/შემუშავებაში, რომლებიც შეეხება სამუშაო/სასწავლო ადგილზე შრომის/სწავლის უსაფრთხოებას;
- დაცვისა და კონტროლის სისტემების და აღჭურვილობების უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებას, შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით სკოლას შენობის აღჭურვას;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების ჩატარებას.

2. პირველადი სამედიცინო დახმარების საჭიროების, საგანგებო სიტუაციების, ევაკუაციის და მომეტებული საფრთხის შექმნის შემთხვევებში სკოლა ვალდებულია:

- დროულად დაუკავშირდეს სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებს და მიაწოდოს სრული ინფორმაცია;
- დაიცვას სამუშაო/სასწავლო სივრცეში უბედური შემთხვევის ადგილი და უცვლელად შეინარჩუნოს იგი კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად;
- სამუშაო/სასწავლო სივრცეში უბედური შემთხვევის (მსუბუქი, საშუალო სიმძიმის, მძიმე, ფატალური, მასობრივი უბედური შემთხვევების) დადგომიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე მაშინ, როდესაც უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები დანაშაულის ნიშნებზე მიანიშნებს;
- დაუყოვნებლივ მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი, მათ შორის პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები;
- დაუყოვნებლივ აცნობოს ყველა დასაქმებულს/სწავლის სუბიექტს და სამუშაო/სასწავლო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომლებსაც ემუქრებათ ან შეიძლება დაემუქროთ მომეტებული საფრთხე, პრევენციული და საევაკუაციო ზომებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ;
- მომეტებული საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა და გასცეს სამუშაოს/სწავლების შეწყვეტის ბრძანება, რათა დასაქმებულებმა/სწავლის სუბიექტებმა და სამუშაო სივრცეში მყოფმა სხვა პირებმა შეძლონ სამუშაო/სასწავლო ადგილებიდან უსაფრთხო ზონაში გასვლა;
- არ მოსთხოვოს დასაქმებულს/სწავლის სუბიექტს ან სამუშაო/სასწავლო სივრცეში მყოფ სხვა პირს სამუშაოს/სწავლის გაგრძელება მანამ, სანამ არსებობს მომეტებული საფრთხე. დასაქმებული/სწავლის სუბიექტი არ უნდა აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში მომეტებული საფრთხის არსებობის დროს სამუშაო/სასწავლო ადგილის ან/და საფრთხის შემცველი ტერიტორიის მიტოვებისას საკუთარი ქმედების გამო და დაცული უნდა იყოს ზიანის მომტანი შედეგებისაგან;
- იზრუნოს, რომ მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში თითოეულ დასაქმებულს/სწავლის სუბიექტს და სამუშაო/სასწავლო სივრცეში მყოფ სხვა პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, დატოვოს სამუშაო/სასწავლო ადგილი, საკუთარი ან სხვა პირების უსაფრთხოების დასაცავად, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული საფრთხის შედეგები;
- სკოლას არ აქვს უფლება ჩააყენოს დასაქმებული/სწავლის სუბიექტი არახელსაყრელ მდგომარეობაში ამ პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაქმებულმა/სწავლის სუბიექტმა დაუდევარი ან/და გაუფრთხილებელი ქმედებები განახორციელა.

მუხლი 4. დასაქმებულების და სწავლის სუბიექტების ვალდებულებები

1. სკოლა, მისი პერსონალი/სწავლის სუბიექტები და სამუშაო/სასწავლო სივრცეში მყოფი სხვა პირები ვალდებულნი არიან შეასრულონ კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების მოთხოვნები და აიღონ კოლექტიური პასუხისმგებლობა სკოლაში შრომის/სწავლის უსაფრთხოების დაცვაზე;

მუხლი 5. უსაფრთხო პირობებზე პასუხისმგებელი პირები

1. სკოლაში შრომის და სწავლების უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (შემდგომში - სპეციალისტი):

- რაოდენობა: 20-დან 100-მდე დასაქმებულის შემთხვევაში - არანაკლებ 1, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის შემთხვევაში - არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/შრომის უსაფრთხოების სამსახური. თუ სკოლას არ ჰყავს სათანადო რაოდენობის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მას შეუძლია მოიწვიოს აღნიშნული დარგის სპეციალისტები/ორგანიზაციები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატით;
- ძირითად მოვალეობები: სკოლაში შრომის/სწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დარღვევების/შეუსაბამობების დროულად აღმოჩენა, აღმოფხვრის გეგმის შემუშავება და შესრულება, შესაძლო დარღვევების/შეუსაბამობების რისკების შეფასება და პრევენცია, ამ წესით და შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება;

- მოვალეობების შესრულების დრო: მოვალეობების შესასრულებლად შესაფერისი დრო ისე უნდა შეირჩეს, რომ, შეძლებისდაგვარად არ შეფერხდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, არ უნდა აღმოჩნდეს სხვა დასაქმებულებთან უარეს მდგომარეობაში შრომის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით;
- ფუნქციური დაქვემდებარება: ფუნქციურად ექვემდებარება სკოლის დირექტორს.

2. შრომის/სწავლის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექტორი. შრომის/სწავლის უსაფრთხოების მიმართულებით მას ევალება შრომის/სწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეუსაბამობებზე/დარღვევებზე პრევენციაზე კონტროლი და შეუსაბამობებზე/დარღვევებზე რეაგირება, შრომის/ სწავლის უსაფრთხოებაზე მიმართული ღონისძიებების კოორდინირება, წინამდებარე წესით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედების და საქართველოს ორგანული კანონით შრომის უსაფრთხოების შესახებ დადგენილი მოთხოვნების შესრულების კონტროლი, ამ წესში ცვლილებების ინიცირება და წარდგენა.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი
1.		
2.		
3.		